


სალიტერატურო და სამეცნიერო ნახატებიანი გაზეთი. გამოდის ყოველ კვირა დღეს.

№ 34 | აგვისტო 6, 1895 წ. | № 34

შინაარსი: მწუხარე დედა, ლექსი გასულისა.—სხვა-და-სხვა ამბები.—საყურადღებო ამბები.—მომავალში საქართველოს შვილთა მოქმედების პროგრამა, ბალცაზარისა.—მარგალიტის თვალი (დასასრული).—„მოამბე“,—„ივერია“ და ერთვნება ნ. ჟორდანიასი.—საშინელი ქარიშხალი, დუტუ მეგრელისა.—„ივერიაში“ დასტამბული კ. მესხის წერილი—შეცდომის გასწორება.—განცხადება. თფ. ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა

## მწუხარე დედა

ცუდი ღამეა, თოვლი, ნამ-ქერი.
გარემოს ისმის როხ-როხი, სტვენა;
მოშორებითა ტყეა ფიჭვნარი,
იქიდან მოდის ქაჯების ღრენა.
დათოვლილს ტყეში ერთი ქოხია;
წამი-წამს ძრწიან მისი კედლები;
ჭერში ზუზუნი და ამბოხია,
სახურავიდან ცვივა ყავრები.

—

ქოხს შიგნით ბჟუტავს ობლათ სანთელი,
თმა-გადაშლილი იქა ზის დედა;
აკვანში უწევს სახე ყვითელი
სენით პყრობილი მას შვილი ერთა.
ეს ექვსი დღეა, დედის თვალები,
დაქანცულები ცრემლის დენითა,
შვილს დაჰყურებენ. ბავშის ძარღვები
დაჭიმულია ავის სენითა.
ანგელოზებრივ უმანკო სახე
გაჩენის უმალ დატანჯულისა,
წყეულო სენო, რისთვის დაგრიხე?
რა შეგეხარბა კოკობ ვარდისა?..

შავი სიბნელე ფანჯარს მომდგარა,
თან ძლიერდება ქარის ზუზუნი;
ბოროტმა მღერით თითქოს იხარა,
როს დედამ შვილზე შეჰქნა წუწუნი.

—

პაწია შფოთავს, წვალში იხრება,
თვალებს აფეთებს, ხელებსა მანჭავს;
მერე მრთელ ტანში დაიგრიხება
და ტკივილისგან წივილსა მართავს...
ეს რა ცოდვაა, სად გაგონილა
ანგელოზისა ასე დატანჯვა?
ნუ თუ სიმართლე ქვეყნათ მოშლილა?
ზეცას არ ესმის უმანკოს დაგვა?
ქარმა დაჰქროლა და შორს ტყიდანაც
საზარლათ ატყდა რაღაც გრიალი;
მართლ-მსაჯულების სახელზე მანაც,
თითქოს იმ წუთას შეჰქნა ხარხალი.

—

დედა ატირდა, იწყო გოდება,
ქვეყანას წყევლის, ცეცხლი ედება;
მას დაკარგვია მთლათ სასოება,
აღარ ჰყო ზეცა და თვით განგება.
იმან ვერ უძლო შვილისა ტანჯვას,
აკვანს დაავლებს სხეების ამარა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

კუთხეში ჯდება, არ იშლის შუოთვას,
სდის თვალებიდან ცრემლი ანკარა.
მისთვის იმ წუთას ქვეყანა ქრება;
შვილი უკვდება, სურს გადაყოლა —
გულში რაც ჰქონდა, გადმოაჩქეფა
ნატვრა, წადილი, ცხოვრების ლტოლვა:

—

„აი, მძევალი კეთილის აღთქმის,
უბრალოთ დნება სიცოცხლე ამის;
სად არის ჯილდო სიკეთისათვის?..
ვინ არს მფარველი უმანკოთათვის?..
ვის რა წავართვი, ვის რა შევცოდე?
არ მახსოვს, ჭიაც რომ გამესრისოს,
ან რამ დამეკლოს ფიორისოდე,
ცუდიც არ მახსოვს ვისმეზე მეთქოს.
მე ვიყავ ერთი ამ ქვეყნის ნერგი,
გული მიცემდა მარტო კარგისთვის;
პატარობიდან გულს დავინერგე,
თავი გადმედვა ჩემი ქვეყნისთვის.
ამ გრძნობით ვიყავ, გონზე მოვედი
წიგნი ვისწავლე, გავყევი მცნებას.
ღრმათ ჩამრჩა გულში წინაპართ ბედი,
მათ თვის ვტიროდი, არ ვდევდი შვებას.“

—

„თურმე გვქონიყო ჩვენცა მამული,
დიდი ცხოვრება აყვავებული,
რომლის კალთაზე იმისი ძენი,
შინ-გარეთ იყვენ თავისა მჩენი.
მაგრამ სოფელი ვისმე დაცლის?..
თურმე ყოფილა ის კარგის მტერი.
რაკი ცხოვრება ფრთებსა გაიშლის,
კვლავ შეიქნება ის მიწა-მტვერი.
ცოდვის მთესველმა კბილი ჩაგვასო,
ბედის ბორბალი უკუღმა გვექცა;
ბრმა ძალამ შხამი უხვათ შეგვასო,
დიდი ცხოვრება თავქვე დაგვექცა.
აზიის ხალიხი სულ ჩვენ მოგვადგა,
ტაძარ-პალატნი ცეცხლში გვეწოდენ;
მისგან შავი დღე ჩვენს ხალხს დაადგა,
საუკუნები სისხლით დიოდენ.
ბარბაროსობამ მოჰფინა ლამე,
გონების შუქი იმან დაბინდა;
ია და ვარდი თუ იყო სადმე,
ყველგან ეკალი ზედ გადავიდა.
გმირული სული მოიხრჩო სისხლში;
და, ვინც გადარჩა, სულ დაძაბუნდა.
მათ ზნე ეცვალათ ნიადავ შიშში:
გმირთ შთამოება მონათა გახდა,
დღეს ამ გვარია ჩვენი ცხოვრება:
ერი ცოცხალი ლეშათ ქცეულა;
ვინც მას მოსტაცა თავისუფლება,
ეს მის მსახურათ გადაქცეულა.
დღეს ის ჰყავს მხოლოთ მას სადიდებლათ,
თავის წინაპართ ზიზღით იხსენებს;
დღიურ ლუკმისა მისაღებელათ
ლანძღვა-გინებით საფლავით იღებს.
მამა-კაცობა — მტრის წესის მცველათ,
დედა-კაცობა — მის ქინის მკვლელათ.
მას აქეთია, რაც ესა ვცანი,
სირცხვილით მეწვის ნიადაგ კანი.
ნეტა რა სცოდა ხალხმა ასეთი,
რომ ჩვენის ძველის დიდი სიმართლე
ქვეყნათ გამქრალა, მზეში ვით წვეთი,
არ გაჩენია არსით მოსარჩლე“?...

—

„არა: მე მრწამდა მართლისა ძალა.
ვთქვი გაცოცხლდება წინაპრის სული;
მხოლოთ ჩვენ გვინდა თვალის ახელა
და შვილებისთვის ღრმა დედის გული.
აი, ამ აზრმა მე გამიტაცა,
საქმე ვიკისრე დედა-კაცური.
გარემოებამ შემთხვევა მომცა,
სწავლა-ძიებას მივუგდე ყური.
დიდ ჭირში თავი მე გამოვცადე,
შიმშილს და წყურვილს არათ ვაგდებდი,
ვერც მარტო ყოფნამ დამიმონავა,
მრავალ ცხოვრების ნაყოფს ვეძებდი.
ვნახე ქვეყანა მეტათ განთქმული,
კაცი და ქალი ახალ მოზარდე,
ყველა ქვეყნისთვის თავდადებული
და მის სიკეთის მუდამ მოდარდე“.

—

„იქ ერს თავისი ბედი შეექმნა,
მტარვალის ძალა მტერათ გადექცია;
თავისუფლება ადრე გაეცნო
და თავის თავი მეფეთ ექცია.
აი, სურათი ჩემის ქვეყნისა,
როგორსაც თავში გამოვისახდი;
ღრმათ ჩამრჩა გულში ლვაწლი დედისა,
ქვეყნის სამსხვერპლოთ მე მზათა გავხდი.
აწ მე მომესპო სულ ყველაფერი,
უსამართლობით შვილი მიკვდება;
აღარ მრწამს ქვეყნათ მე არაფერი;
აქ სიკეთის წილ ბოროტი ტკბება“.

—

ამ დროს პაწიამ შექნა წივილი,
ზაფრა ნაცემი წამოხტა დედა,
აკვანს მივარდა გულ-გახეთქილი,
გაშმაგებითა თავში იცემდა.

პაწიამ კლაკვნით ხელი გაჰიმა,
დედას თვალები მან შეაშტერა;
თითქოს უნდოდა ხვეწნით ამის თქმა;
„მიშველე, დედი, ამიყვა ჩქარა“.
დედამ მოავლო უცბათ ხელები,
გულში ჩაიკრა, ტუჩს ადებს ტუჩზე,
ყმაწვილს ეყრება დედის ცრემლები
და დაწყნარდება იმ ერთ წუთაზე.
„რატომ მე არ მჭირს ეგ შენი სენი,
რატომ მე არ მკლავს ეგ რაღაც ულვთო;
ჩემას დატანჯვით სიცოცხლე შენი
გადავარჩინო, სიკვდილს წავართო.
ერთი თვისაკა ჯერ არ გამხდარხარ,
ძალას კი იჩენ ერთისა წლისას;
ორი კვირისა ფეხზე დამდგარხარ;
შენში კვალს ვხედავ დიდ გონებისას.
თითის ნიშნებით ძუძუსა მთხოვდი,
თან მახარებდი ტკბილ-ღალიმებით;
თუ არ მოგცემდი, ტუჩს მიბზუებდი,
ჩემო ოცნებავ, თავის გაქნევით.
ოჰ, რატომ გნახე შენ ეგრე კარგი,
თუ ასე მალე დამშორდებოდი!..
გულში ნუგეში დიდი რათ ჩარგი,
თუ სწრაფათ სიკვდილს მექადებოდი!..
ოჰ, სულის მტრედო, ჩემო სინათლე!..
დედა სიგიჟით ეხვევა შვილსა:
,,თუ კი სადმეა ქვეყნათ სიმართლე,
ვერვინ წამართმევს მე ჩემსა შვილსა.
და თუ წამართმევს, მაშინ გაწყდება
ჩემი კავშირი ზეცა—მიწასთან.
ქვესკნელს მოექცეს ზენა—არსება,
სოფელი—კუპრათ, კაცი—ეშმაკათ.
იქ, სადაც ასე უმანკო სული
სულ უმიზეზოთ ტანჯვას ეძლევა,
იქ სიმართლეა ან დაკარგული,
ან სულ თავიდან არ მოიძევა.
და თუ ასეა, ან კაცს იმედი
რათ უნდა ჰქონდეს, კეთილი აღდგეს.
აქ სოფელია ეშმაკის ხვედრი,
კარგი რაც არის, უნდა დაინთქეს.
თუ სამართალი ქვეყნათ მოქმედობს,
ჩემს პაწიასაც არრა ევნება,
თუ არა,—მაშინ ვინ რათ იმედობს,
რომ ჩვენი ერიც კიდევ აღდგება...
ოჰ, შვილო ჩემო, შენ რომ მომიკვდე,
მეც ნუ მაცოცხლოს ნურც ერთი წამი;
მეც მკერდში დანა უნდა დავიცე,
რომ გვერდით გიწვეს დედისა გვამი.
აქ დედა შვილსა კოცნის ურიცხვათ...
ყმაწვილი ისევ დაიგრიხება...
მის ტანჯვის ცქერას ველარ გაუძლებს
და გულდამწვარი კვლავ გაშორდება.

გახული

(შემდეგი იქნება)

## სხვა-და-სხვა ამბები

წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“ ამ დღეებში წიგნთსაცავს გახსნის თურმე ახალციხეში.

***

ამავე საზოგადოებას ცნობა მოუვიდა, რომ სვ. ლოლობერიძე, რომელიც ამას წინეთ ქუთაისის სათავად-აზნაურო შკოლის გამგებლათ ამოირჩიეს, ოლქის მზრუნველს ამ თანამდებობაზე დაუმტკიცებია.

***

გაზეთებმა ფრიად სამწუხარო ამბავი მოგვიტანა: სოციალისტების მეთაური, კ. მარქსის უახლოესი და უკულითადესი მეგობარი ფრიდრიხ ენგელსი გადაიცვალაო. უეჭველია, ამ სიკვდილით ეკონომიური მატერიალიზმის მოძღვრებას უძლიერესი თეორეტიკი მოაკლდა.

***

ჩვენ მივიღეთ ახალი პოემა ზ. იასე რაჭველისა—„დასჯილი“, ავტორისავე საფასით გამოცემული და კ. თავართქილაძის მიერ დასტამბული.

## საყურადღებო ამბები

და გულით ველოდი იმ წამს, როცა განსვენებულის ევ. ნინოშვილის სურათის ცქერით მაინც გავმაძღარიყავი. ბევრჯელ მოვინდომე რომელიმე გაზეთის საშუალებით მიმემართნა ზოგიერთა პირებისათვის, ვისაც საშუალება ხელს აძლევდა, გამოეცათ ამ პატიოსანი მუშაკის სურათი. მაგრამ ჩემი თხოვნის მიმართვამდის უკვე „კვალის“ მე-25-ე №-ში იყო გამოცხადებული შემდეგი: „სოფიო ჩხარტიშვილისამ თავისი ხარჯით დააბეჭდინა დიდი სურათი განსვენებულის ევ. ნინოშვილისა აკაკის შემდეგი ზე წარწერით:

მას, ვინც სიცოცხლე სახ-მოკლე.
სასურველიკათ ნაკოთვიერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

წმინდათ უმსხვერპლა სამშობლოს,
არ დაივიწყებს არც ერი.

სურათი ღირს 25 კ. სრული შემოსავალი დანიშნულია ლანჩხუთის სამკითხველოსთვის და ეგ. ნინოშეილის ძმისწულის აღსაზრდელათო". აი, სწორეთ ეს სურათი ვნახე განჯის რკინის გზის სადგურზე ბ-ნ ს. დოლიძისას. მაგრამ ამ სურათის ნახვამ დამცა თავზარი. ვისაც კი განსვენებული ეგ. ნინოშეილი ცოცხალი უნახავს, იგი მაშინვე შეამჩნევს, რომ ეს სურათი არაფრათ მოგვაგონებს განსვენებულ ეგ. ნინოშეილს: ლოყები რაღაცა დამანჭული, ქოჩორი გადუვარცხნელი, წვერი და ულვაში გაერთებული,—გეგონება წყალში უბანავნია და ახლა ამოსულაო,—და თვალებზე თითქოს ბისტები აკრავსო. ერთი სიტყვით რაღაცა საძაგლობაა აღბეჭდილი ერთი თაბახის ტოლა სქელ ქაღალდზე. უკაცრავათ, ქალბატონო სოფიო ჩ—ვილისავ, ჩვენი ბელეტრისტი ეგ. ნინოშეილი მაგისთანა მახინჯი სახისა არ გახლდათ. თუ მეტი არ შეგეძლოთ, ხელი არ უნდა მოგეკიდნათ, და, თუ მოჰკიდეთ, უნდა გამოგეცათ ისე, რომ ქვეყანა მადლიერი გყოლოდა: პატარა სურათი ყოფილიყო და კარგი, ვინემ დიდი და უხეირო.

ილიკო მარუაშვილი

*
* *

სოფ. ბასჳი, (ოზურგეთის მაზრა). ოციოდე წელიწადი იქნება, რაც აქ სკოლა არსებობს. იგი დაფუძნებულია ამავე სოფლის პატივცემული შვილის, იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელის მოღვაწეობით და საფასით. მცხოვრებლების მიერ კი ორ კლასიანათ არის გადაკეთებული. თამამათ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ის არ ეკუთვნის ისეთ შკოლებს, რომლებშიაც მარტო მთავრობის განკარგულებას ასრულებენ და რომლებიც მძიმე ტვირთივით აწევს მცხოვრებლებს. არა. ეს ისეთი სკოლაა, რომელიც ბევრის მხრით აკმაყოფილებს ხალხს და ამიტომაც მცხოვრებლებიც დიდი სიყვარულით ეპყრობიან მას. ასეთი სკოლები დღეს ძლიერ იშვიათია ჩვენში. აქ სკოლასთან დაარსებულია საბრეშუმე, საფუტკრე და ბაღი, ხუთი წლის გაშენებული, სივრცით ოთხი ქცევა. რიცხვი მოსწავლეებისა წლიურათ ორას აღემატება. ისინი სამი მასწავლებლების ხელმძღვანელობით ზოგი მებაღეობას სწავლობს, ზოგი აბრეშუმის მოვლას და ზოგიც მეფუტკრეობას. მეტი ნაწილი სწავლა-დამთავრებულთა ნივთიერი შეუძლებლობისა გამო სოფლათვე რჩება და ავრცელებს სასარგებლო ცნობებს. სოფელს თანდათან წინმსვლელობა დაეტყო. იშვიათი სანახავია ისეთი ოჯახი, რომელშიაც სუყველამ არ იცოდეს წერა-კითხვა. მებაღობასა და აბრეშუმის ჭიის მოვლაშიაც დიდ უნარს იჩენენ. უფრო ყურადღების ღირსია აქაური სკოლის ბაღი, რომელიც მასწავლებლების ხელმძღვანელობით შეგირდებისაგან არის შემუშავებული. იგი სავსეა სხვა-და-სხვა გვარი უცხო ჯიშის ხეებითა და ხეხილებით. ამ ბაღში არის ვენახი, რომელიც იალტის საბაღოსნო სკოლისაგან გამოწერილი საუკეთესო ჯიშის ვაზებით არის გაშენებული. ადგილობრივი ვაზიც – „ჩხავერიც" არის. ათი-თუთხმეტი წელიწადი იქნება, რაც ჩხავერი გურიაში აღარ ხარობს, მაგრამ ახლა კი დარწმუნდა ხალხი, რომ მხოლოთ მეცადინეობაა საჭირო. ყველა ეს გარემოება, რასაკვირველია, ძალიან შთაბეჭდილებას ახდენს ხალხზე, რაისთვისაც მას შეუყვარდა ასეთი კეთილის მყოფელი შკოლა. შკოლის ასეთი კეთილი მოქმედება ხალხზე კარგათ მოქმედობს და ხალხიც სიყვარულით უყურებს მას და ბაძავს. მაგ. ბ. ი. ქიქოძემ, სკოლის ბაღის სიმშვენიერე რომ დაინახა, თვითონაც იწყო ეზოში ასეთივე ბაღის გაშენება. ასეთი მაგალითი თანდათან მრავლდება ჩვენს სოფელში ჩვენი სასიქადულო შკოლის შემწეობით.

დიდი პატივის ღირსნი არიან აგრეთვე თვით მასწავლებელნიც თავიანთი გულმოდგინეობისა და გამრჯელობისათვის.

ფარ-მან

*
* *

დაბა ლანჩხუთი და სოფ. ნიგოითი. ლანჩხუთი და ნიგოითი მეზობელი სოფლებია. მაგრამ მეზობლობა განსხვავებას მაინც ვერ სპობს: პირველი ამ ხანათ საგრძნობლათ წინ არის. ლანჩხუთის მკვიდრთ სიფხიზლე და საზოგადო ინტერესით გატაცებულება ეტყობათ. ამასთან ისინი ვერ იტანენ ბაცაცა კაცებისაგან გითელვას: ამ გარამოების ბრალია, რომ „მოსე მწერალმა" ბ. მაზრის უფროსის წყალობით აიკიდა თავისი გუდა-ნაბადი და, ჰაიდა!— გამოეთხოვა აქაურ კანცელარიას. „მოსე მწერლის" თავიდან მოშორებით ხალხი ძლიერ მხიარულია და ახლა თამამათ დაღიღინებს თვის მიერვე შედგენილ ლექს, რომლის ერთი ხანა აქვე მოგვყავს:

„მოსე მწერალს" ხრიკებისთვის
ქე მოარტყეს პადურიო...
და იმისი მოცილებით
სულ მიწყნარდა მუხურიო...
„უფლისა და ნაჩალნიკის
ორივესგან გვაქვს წყალობა...
რაკი მოსე მოგვაშორეს,
მათთვის გვმართებს ჩვენც გალობა"ო და სხ.

ლანჩხუთს ბიბლიოთეკაცა აქვს და ჯერ-ჯერობით წინ მიდის ამ დაწესებულების საქმე.

ამ დროს ნიგოითში რა ხდება?!—ყველაფერი. პირ იქით აქაურები სწავლა განათლების მტერნი არიან, ბიბლიოთეკას ხომ არ გააჭაჭანებენ. ამათ მაგიერ აქაურების სასიამოვნო და სასახელო ხელობა ქურდობა და ცარცვა გლეჯაა. ორი თვე არ გასულა ჯერ, რომ რამდენიმე ავ-კაცობა მოხდა,—თუ დუქანი გატეხეს და გაქურდეს, თუ ცხენები მოიპარეს და თუ ფულები და სხ. ასეთ დაქვეითებულ საზოგადოებას წვრილი მოხელეებიც სწორეთ შესაფერი ჰყავს, ღამის ყარაულები ნამდვილი ყაზილარები (როგორც აქ უძახიან) ჰყავთ. ამას წინეთ კინაღამ არ მოკლეს სრულიად უდანაშაულო კაცი. თვითნებობით დაფარვაშობს აქ პე რე კევ—ძე, რომელიც, ამბობენ, ჯამუშათ არის აქ გამოგზავნილიო. მისი ისე ეშინიათ გლეხებსა და თავად აზნაურებს, რომ მის საწინააღმდეგოთ კრინტსაც ვერავინ დაძრავს. ამ საარაკო დევ-გმირმა ასეთნაირი ანდაზა გამოიწვია ხალხში: „იგი დღეი მომსწრებოდეს, რომ პეტრიამ შეკახოს ხელი“ო.

სწავლა-განათლების გავრცელებ-ს სურვილი თუ თითო-ოროლას ჰქონდა აქამდის, ისინიც გააჩერეს და პირში ბურთი ჩაუდევს ასე წოდებული „პრიგოვორით“.

ნიგოითის სადგურზე რომ წესებია, არამგონია, ა'ე იყოს სადმე. საკუთარ ბარათებს არ გვაძლევენ თუ წინდაწინვე სამი კაპეიკი არ მიეეცით: 15—20 ვერსტის სიშორიდან ვგზავნით ზოგჯერ ყმაწვილებს წერილებისთვის და, როცა ჩვენი სადგურის უფროსს ბარათს მოთხოვენ და სამ კაპეიკს კი არ წარუდგენენ,—ვაი იმათი ბრალი... ცემით და ლანძღვაგინებით გამოისტუმრებს უფროსი. არ ვიცით, რა მიზეზია, რომ აქაურ სადგურზე ხილის გაყიდვას უშლიან ჟანდარმები ამით დიდ ზარალს აძლევენ მცხოვრებთ.

ს. შუხუთში ამ ჟამათ ძალიან გავრცელებულია ყვავილი და, თუ ამ თავით ყურადღება არ მიაქცია ჩვენმა ექიმებმა ცუდათ დატრიალდება საქმე, როგორც ეს კარგათ დაგვანახვა ყელ-ჭირვებამ.

* *

ბათუმი ახლანდელი ბათუმი ძველისაგან ფრიად განირჩევა. ოსმალური უშნო, მინგრეულ-მონგრეული ქოხები ევროპიულ ტურფათ აგებულ სახლებ-დუქნებს უთმობენ ადგილს; ზოგან ხელოვნებით, ზოგან ბუნებით ჭაობანი შრებიან: ბაყაყები მდუღარე ცრემლებით შემოქმედს შეჩივიან. გამვლელ-გამომვლელის გულს არ აშფოთებს ადრინდელი აყროლებული, საზარელი ქუჩები; ყოველგან ქვა-ფენილია და გამუდმებულ ავდრებშიაც დაგან.ნებინებსთ ეტლით გასეირნებას; ყოველგან მოძრაობაა, სიცოცხლე; წარმატების ნიშან-წყალი, მრავალ-ფეროვანი მორთულმოკაზმულობა გულს გისიამოვნებს. ყველასი მდგომარეობა ასე თუ ისე უმჯობესდება, უკეთესდება, მუშა კი ისევ უმწეოა, ცისანაბარათ მიგდებული; უპატრონო, უთვალავი უბედურება—გაჭირვებას და ვაი-ვაგლახს ითმენს ქედ-მოხრილი; არ'ით ჩანს მისი ავადმყოფობისთვის თავის შემწუხებელი; ამ ჟამათ ნავთ-სადგურზე და ქარხნებში შეჩერებული მუშები ცხრა-ათასამდეა. საშუალო დღიური ქირა სამ აბაზს არ აღემატება. წარსულ წლებში რომელიმე ქარხანაში როგორმე თუ ჩაეჩხირებოდით, სამუშაო მაინც გეშოვებოდათ წლიდან-წლამდე, მაგრამ შარშანს აქეთ მექარხნეების ოინ-ხრიკებს შემდეგ მუშაობა შემცირდა. სამუშევარს ველარ ვშოულობთ და მშიერმწყურვალნი, ტიტველ-შიშველნი ათასობით ვყრიავართ. ამ გვარ მდგომარეობაში როგორ შეიძლება ს'ეული, აგებულება არ წაწყმიდოთ, და მოუაროთ როგორც რიგი და წესია? შავ დღისათვის ცოტა რამ წვლილი როგორ უნდა გადადოთ! საწყლებს მხოლოთ წყალი და პური გვაქვს: ჰაპანაქება სიცხე, უსაშველო ჯაფა-ტანჯვა-შრომა, უწმიდური, საძაგელი სადგომი—ფეხ-ქვეშ გვაცლის ჯანმრთელობას. ამას დაუმატეთ შინაური ჭირ-ვარამი და მაშინ გაითვალი-წინებთ ყოველიფერს. აქაური მიკიტანი თუ რესტორატორი სხვა ქალაქებზე უარესათ უმასპინძლდება დაბალ საზოგადოებას: დამპალი, აყროლებული საჭმელ-სასმელის გამსაღებლები ჩვენ მუშები ვართ. ასეთი ვითარებაა მიზეზი, ჩემი მოკლე აზრით, რომ სადგურებში ყოველ-დღე შეხვდებით ოფლით გაჟღენთილ საბნებში გახვეულებს, მთლათ ჩამომდნარ მუშებს. ამ ნაირ აუტანელ ვითარებას, სილატაკე-უსახლ-კარობის ნაშობს, ყველა რიგიან ქალაქებში, დიდი ხანია, მიაქციე'ს საჭირო ყურადღება. არსდება წრეები, რომელნიც მეცადინეობენ გაუადვილონ გაჭირვებულებს ცხოვრება; გულგამეხებულ ჩარჩებს ხელიდან გამოგლიჯონ. ზრუნვენ: თავ-შესაფერი, იაფ-ფასიანი სახალხო სასადილოები ააგონ, წარმოდგენებს და ლექციებს მართავენ და სხ. კურთხეული ბათუმი კი ამ მხრით სხვებს დიდი მანძილით საცოდავათ ჩამორჩა,—ბათუმს ყოველივე ეს არც თუ დასიზმრებია, დაარსოს კი არა. სირცხვილია, სხვა არა იყოს რა, ასეთი გულციობა, უგრძნობლობა მუშების მდგომარეობისა ბათუმის მხრით.

* *

განჯა. „ნოვოე ობოზრენიის“ № 3957-ში დასტამბული იყო განჯიდან პატარა კორესპონდენცია, რომლითაც იუწყებოდენ, რომ „განჯის რკინის გზის შკოლაში არა სასიამოვნოთ გათავდა ეგზამენებიო;

თითქმის ყველა მოწაფეები დატოვებულ იქნა უფროს განყოფილებაში, თუმცა შკოლას 50 მოწაფეებთან ათი მასწავლებელი ჰყავს; შკოლას განაგებს რკინის გზის „აგენტიო"... წაიკითხავს თუ არა პატივცემული მკითხველი ზევით მოყვანილ კორესპონდენციას, აუცილებლივ, სხვათა შორის, თვალ წინ დაებადება ორი საკითხი: 1) რა არის მიზეზი ამ არა სასიამოვნოთ ეგზამენების დაგვირგვინებისა? და 2) რკინის გზის აგენტი, რომლის ხელში ტრიალებს ბედი შკოლისა, ამ უკანასკნელის შესაფერი გამგეა თუ არაო? შკოლას გარდა „აგენტისა" ჰყავს ზედამხედველიაც ბ-ნი პ—კო, მაგრამ რა გამოვიდა? მას დავიწყებია თავისი პირდაპირი ვალდებულობა და რაღაც კერძო ინტერესებისათვის ჩამოუგდია განხეთქილება შკოლის „აგენტსა" და მასწავლებელთა შორის, რომელთა რიცხვი ხუთია და არა „ათი". მასწავლებელნიც, აღჭურვილნი ყოველ გვარ ზ.ზლით წინაალმდეგ „ზედამხედველისა" და „აგენტისა", გულ გრილათ ეპყრობოდენ შეგირდების განვითარებას იმ განზრახვით, რომ იქნება, წლის ბოლოს რამე ნაირათ შენიშვნა და განკიცხვა მიაღებინონ ზედამხედველს უფროსებისაგანო... და ასთე და ამ გვარათ: „აქლემები წაიჩხუბენ, კოზაკი შუაში გამოჭყლიტესო". „აგენტიც", ბ-ნი ს—ვი აღჭურვილია პირადი „მე"თი და ძალათი პედაგოგს წარმოგვიდგენს, ამიტომაც რა ელფერი უნდა დაედვა შეგირდების განვითარებისთვის (თვითონ მიწის მზომელია). ამ ვაჟბატონის მეოხებით განდევნილ იქმნენ შარშან იმავე შკოლიდან მასწავლებელნი ბ-ნნი ყაზბეგი და ფურცელაძე, და ეს იმიტომ, რომ ეს უკანასკნელნი პატიოსანი და მართლის მოყვარე ადამიანები იყვნენ... მაშასადამე, უპირველეს დამნაშავე პირათ ჩნდება შკოლის შარშანდელსა და წლევანდელ არეულობაში ის „აგენტი" ბ-ნი ს—ვი. ნათქვამია: როგორიც ბერი,—იმისთანა ერიო." ბერობისა კი რა მოგახსენოთ და, თუ თვითონ უფროსი თავი, ბ-ნი ს—ვი არ ვარგა, უმცროსებმა რა უნდა გააკეთონ?.. შკოლის ზედამხედველი ბ-ნი პ—კო დათხოვნილ იქნა ზევით მოყვანილ საქციელისათვის, მაგრამ ისიც სასურველია, რომ, ვისიც ჯერ არს, შესაფერი ყურადღება მიექცეს „აგენტის", ბ-ნ ს—ვის საქციელს, რათა მომავალ წლებშიც მოსწავლეების მშობლებს არ გაუცრუვდეთ იმედები: უკანასკნელ ლუკმა პურს იღებენ შვილებისთვის, და ესენი კი, სამწუხაროთ, ვინლაცა ამაყის მეოხებით შკოლაში სარგებლობის მაგიერ უფრო მახინჯდებიან.

ერ. გენძეხაძე

## მომავალში საქართველოს შვილთა მოქმედების პროგრამა

Ecumons la mer sombre,
Pillons l'océan vert.

გაგრძელება *)

ვანა არ იცი? ჩამძახიან ხოლმე, ჩვენ, ქართველებს, გვაქვს ორი საკუთარი ბანკი, საცა მილიონები გვიგროვდება და ამ მილიონებით რის გაკეთება-ღა გაგვიჭირდებაო?..

— მე ბანკების საზოგადოთ უარმყოფელი არ გახლავართ, მაგრამ ისიცა მწამს, რომ ბანკები თავიანთ ნამდვილ დანიშნულებას ასრულებენ მარტო მაშინ, როდესაც ხალხი, ვისთვისაც არსდება ბანკები, მომზადებულია ადამიანურათ შეებრძოლოს რთულ თანამედროვე ცხოვრებას, როდესაც ყოველ წევრს ამ ხალხისას ესმის ფულის ყადრი, იცის, რომ მამულში აღებული ფული გახვრეტილ ჯიბეში კი არ უნდა ჩაიჩხრიალოს, არამედ ისევე მამულსვე უნდა მოახმაროს, გააუმჯობესოს იგი და ამ გვარათ გაუძლევს ვალსაცა და ცხოვრებასაც. ჩვენი თავად-აზნაურობა? როგორა გგონია, ჩემო მკითხველო, განა ისე მო-ზადებულია ცხოვრებისათვის რომ ყოველთვის შეუძლია პირნათლათ გამოვიდეს ცხოვრებაში? არა, ბატონებო, თითქმის ყველა მათგანს მამულის გაუმჯობესობისა არა გაეგებარა, თანამედროვე მეურნეობა მათვის მეტაფიზიკა გამხდარა. და აბა ამ მდგომარეობაში განა რომელიმე მათგანს შეუძლია გაგაგებინოთ თუნდა ის, თუ რამ აიძულა მემული ვალით დაეტვირთა? ფული მჭირია, ფულიო, აი, სრული იმის პასუხი, ან სხვას რას გეტყვით იგი, როდესაც იმის ნატვრაა, მამული მოიშოროს თავიდან, ვისმე მიჰყიდოს უფრო დიდ ფასად რომ, რაც შეიძლება, ხანგრძლივ იქვიფოს. აი, მიზეზი, ბატონებო, რამაც გაგვიჩინა ამ ჟამათ სენი— „უდელობა"! მოხუცებული, ყმაწვილი, მამაკაცი, დედაკაცი ახლა ყველა გადირია ჩვენში, ტუჩებზე მარტო ის აკერიათ, თუ ვის თხოვნა დააწერინონ იმპერატორთან, ვის სიტყვა გადაუკრან, ვის ფეხებში ჩაუვარდენ, რომ ეგების მოწყალების თვალით გადმოხედონ და იმათ ხელში უბედური მამულ-დედული იყიდონ-..

ხოლო როდესაც თავად-აზნაურს გაუცრუვდება ხოლმე იმედი მამულის სასურველ ფასათ გაყიდვისა, მაშინ კი იძულებული ხდება ბანკში დააგიროს. გამოტანილ ფულს, რასაკვირველია, ქართველურათ

*) იხ. „ქვალი" № 33.

შეყლაპავს ჩვენი ქართველი ქონდრის კაცი და მამული კი, ვალით დატვირთული, უტირის დროებით, ვიდრე ჩაქუჩის დაკვრით არ გაეყიდება და უფრო საკადრის პატრონს არ ჩაუვარდება იგი.

თქვენ გიხარიათ, ბატონებო, რომ ბანკებში მილიონები გვიგროვდება, არა?. პირველი ესა, მიბრძანეთ ვის გადამთიელს, ანუ ვის გადმომთიელს დააყრევინეთ ეგ მილიონები, რომელიც ჩვენთვის გროვდება თურმე? მეორეც ესა ჩვენი ბანკების ოპერაციამ ისეთი მიმართულება მიიღო ამ ბოლო დროს, რომ საკითხავი რჩება, თუ ვისი იქნება ბოლოსა და ბოლოს ქართველ თავად-აზნაურებისაგან შუსტაკ-გადაკრულ კანონიერობით გამოგლეჯილი მილიონები.

ასე და ამ გვარათ მე რომ მთავრობის ადგილს ვიყო, ყოველ ქართველის მამულს, ან გაყიდვისთვის, ანუ დაგირავებისთვის განწირულს, ღენერალი იქნება მისი პატრონი, თუ უბრალო ბულვრის მტკეპნელი, უსათუოთ „აპეკას" დაუნიშნავდი. მაშ რას იზამთ, როდესაც ქართველები თითონ თავის ხელითვე იყვლიფებიან და სხვებს კი თავიანთ მიწა-წყალში ამდიდრებენ. სომხები ტყუილათ კი არ გაიძახიან: ქართველებს რომ ჭკუა ჰქონდეთ, ჩვენ მშივრები დავიხოცებოდითო". ესეც თქვენი იმედები, გიხაროდეთ ჩვენო, იატაკქვეშელებო! გარდა ამ ძირითად უკულმართობისა, ინტელიგენციაც გადაგვირია ამ ბანკებმა. აქამდინ მარტო მკვდრებსა ვუკეთებდით შუბლზე „ვენჩიკებს", ახლა კი საქართველოში ცოცხლებიც „ვენჩიკ"-ებით დავიარებით. ბატონებო, რას ბრძანებთ, საუკუნის ჩამორჩენილობას დაგვწამებენ, რომ ერთ-ერთ „ვენჩიკს" არ ვატარებდეთ—ტფილისში: ჭავჭავაძისტობისა, მაჩაბლისტობისა და ნეიტრალობისას, ქუთაისში: კალისტრატისტობისას და ოპოზიციონისტობისას...

მაშ ბანკების ასეთ უბედურ საქმეებში ხედავთ თქვენ ჩვენს ბედნიერებას?.. აქ გუგუნებს, თქვენის აზრით, ჩვენის ეროვნების გასაძლიერებელი ცეცხლი?.. ვაი ჩვენს შავს დღეს!.. იმ დროს მოვესწარით, როდესაც ბრმათ მავალნი გავმხდარვართ „მიწასა ზედან ცას ქვეშედ" და ვერა ვხედავთ, როგორ იფლანგება ქართველობა ქონებით, ირყვნება ზნეობით, ლაჩარდება, საცოდავდება, მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროთ, იყავით დარწმუნებული, არვისგანა და არასოდეს შებრალებული არ იქნება!..

ბალტაზარი

(შემდეგი იქნება)

---

„ივერიაში" დასტამბულია კ. მესხის შემდეგი წერილი:

ბატ. რედაქტორო! უკანასკნელ „კვალის" ნომერში დასტამბულია ბ. ქუჯის წერილი, რომელსაც ძალიან გაჰკვირვებია, რომ ჩემი წიგნების განცხადების სიაში მოთავსებულია შექსპირის პიესა „ჭირვეული ცოლის მორჯულება" ჩემ თარგმანათ და არა ბ. ქუჯისა. მოკლეთ მოვახსენებ ბ. ქუჯს, რომ მისი თარგმანი ღმერთმა მას და მის ამხანაგებს მოახმაროს და მე კი მსურს ჩემი თარგმანი მქონდეს და კიდეც ვსთარგმნი. გასაკვირველი ბ. ქუჯისათვის აქ არაფერი უნდა იყოს და მე კი ორი რამ მაკვირვებს: „საიდგან იცის ბ. ქუჯმა, რომ მისი ნათარგმნი დაიბეჭდება და არა ჩემი, მეორეც, თუ ბ. ქუჯს, სიყმაწვილის და უცოდინარობის გამო, არსად გაუგონია, რომ გამოჩენილ თხზულებას ასი და ორასი მთარგმნელი ჰყავს, „კვალის" რედაქციამ ეგ როგორ არ იცის და თავისი მხრით შენიშვნა რატომ არ მისცა ახალგაზდა კაცს, რომ თარგმანის მონოპოლია არავის შეუძლია დაიპყრას? *)

*) „ივერიისაგან" უმართლო ხსენებას კარგა ხანია შევეჩვიეთ, რადგან მისი, უკადრავათ მოხსენებაა, პუბლიცისტ-მწერლები ისე ენას არ მოაბრუნებენ, რომ უშვერი სიტყვით არ მოგვიხსენონ, და ყოველივე სამართლიან შენიშვნას „კვალის" მხრით პირადი ინტერესებით ხსნიან... ახლაც ბ. კ. მესხმა სრულიად უსაბუთოთ გამოჰკრა თავისი კბილები „კვალს". რატომ?—„კვალმა" შენიშვნა არ გაუკეთა ბ. ქუჯის წერილსაო... ქუჯი წერს: „გამიკვირდა ერთმა პიესამ („ჭირვეული ცოლის მორჯულება", შექსპირის), რომელიც საზოგადო სიაში მოქცეულიყო, მიტომ რომ ეგ პიესა თვით ბ. კ. მესხის თხოვნით თქვენი მორჩილი მონის გადათარგმნილია და კ. მესხისავე რეჟისორობით, მგონი, ორჯერაც არის წარმოდგენილი ქუთაისის სცენაზე". ჩვენ ასე ვფიქრობდით და ვფიქრობთ ახლაც, რომ კ. მესხი შექსპირის თარგმნას უვიცს არ მიანდობდა და არ ინებებდა ორჯელ ქუთაისის საზოგადოებისთვის უხამსი ნათარგმნი შექსპირისა სცენიდან მიეწვდინა. აგრეთვე, გვეგონა, აბუჩათ არ აიგდებდა იმ კაცს, ვინც მისივე თხოვნით შრომა გაწია, და მას, თუ რამე ნაკლულევანება ექნებოდა თარგმანში, თვით დაეხმარებოდა და გაუსწორებდა. დიაღ, რედაქციას რწამდა სრულის სიმაღლე კ. მესხისა და მიტომ შენიშვნაც არ გაუკეთა ქუჯის წერილს. შეიძლება რედაქცია მართლაც შეცდა, მაგრამ იმ მხრით კი არა, მესხს რომ გონია, არამედ იმით, რომ ქუჯის წერილი ასე მალე გამოამჟღავნა...

რედ.



უსიამოვნო შეხვედრა.

## მარგალიტის თვალი

(დასასრული *)

მარგალიტის ნიჟარა მდინარეებშიაც და ზღვებშიაც არის. საქსონიისა და ბავარიის მდინარეებში წინეთ ბევრი მარგალიტის ნიჟარა იყო და მარგალიტის თვალსაც აქედან ბევრს შოულობდენ. ხოლო ამ ბოლო ხანებში აქ ეს წარმოება ძლიერ შეფერხდა და დაეცა, ამის მიზეზათ აღგილობრივი მეთევზენი ქარხნებსა და ფაბრიკებს ასახელებენ: ქარხნებიდან და ფაბრიკებიდან მდინარეებში ბევრ ნაირ სიბინძურეს ჰყრიან და ამიტომ მარგალიტის ნიჟარა აღარ მრავლდებაო, აღარ იზდებაო.

სამაგიეროთ ამ უკანასკნელი საუკუნის განმავლობაში ძლიერ გადიდდა და გავრცელდა ზღვებიდან მარგალიტის ამოზიდვა. ინდოეთის ოკეანე ყველა ზღვებზე უფრო მდიდარია მარგალიტის ნიჟარით: ცეილონისა, იავისა და სუმატრის (ყველა ესენი კუნძულებია ინდოეთის ოკეანეზე) მიდამო ზღვა-ყურეები უშრეტელ განძს წარმოადგენენ ამ მხრით; მარგალიტის ნიჟარას შოულობენ აგრეთვე სპარსეთის ყურეში, იაპონიისა და მექსიკის ზღვებში. ამ საუკუნის მეოც-და-ათე წლებში მარგალიტის ნიჟარებით ალსავსე ადგილები იპოვეს ავსტრალიისა და ამერიკის (კალიფორნიაში) მახლობელ ზღვებში. მაგრამ ავსტრალია ამ მხრით სხვას ყველას ჰარბობს და აღემატება.



მარგალიტის მჭერელთ გემი ქარიშხალის დროს.



იშვათი სანახავი.

მარგალიტის ნიჟარა ზღვიდან ყველა მუნებურს ამოაქვს. მაგრამ უფრო ხშირათ მწარმოებელნი ევროპიელები არიან. მუნებურთ კი მოყურჰუმელავებათ ქირაობენ. მწარმოებელნიც ზოგი ხელ-მოკლეა და შეუძლო, ზოგიც მდიდარი. პირველს ადამისდროინდელათ მიყავს წარმოება. მას ერთათ ერთი ნავი აქვს და ერთი მოყურჰუმელავე დაქირავებული. ნავს თვითონ გაჰყვება და წყალში მარგალიტის საკრეფათ მოყურჰუმელავეს უშვებს; უკანასკნელს შესაფერი ტანთ-საცმელი და მორთულობა არა აქვს. ამიტომ წყალში მალე სული ეხუთება - დიდია თუ რამდენიმე წამი დაჰყო—და მალ-მალე ამოდი-ჩადის. ასე მოწყობილი მოყურჰუმელავე ვერც ღრმათ ჩადის. მარგალიტის ნიჟარა კი ბლომათ და კარგის თვისებისა 80—100 ფუტზე ზევით არ იშოვება. ამიტომ ასეთი ხელმოკლე მწარმოებელნი დღითი დღე საზრდოებენ ძ, ცოტა არის, სულს იბრუნებენ თვისი წარმოებით, მეტი არაფერი. მდიდარსა და შეძლებულ მწარმოებელთ კი დროის შესაფერ წესზე და რიგზე აქვთ საქმე დაყენებული. მათ მოყურჰუმელავებისთვის შესაფერი ტანთ-საცმელი და თავს სახურავი აქვთ, ჰაერისათვის მილი და სხვა. ამიტომ ასეთი მოყურჰუმელავენი წყალში ორ-სამ საათს რჩებიან, 200—300 ფუტის სიღრმეზე ჩადიან და მთელი წელიწადიც მუშაობენ. უბრალო და მოუწ-



ნაშოვნის დათვალიერება.



ტყუილი შიში.

*) იხ. „კვალი“ № 33

ყობელი მოყურჭუმელავენი კი მხოლოთ ხუთ თევს. უკანასკნელნი აგრეთვე ხშირათ მსხვერპლნი ხდებიან ერთი კაცის-ჭამია თევზისა ზღვის—ძაღლისა (აკულა). ეს თევზი ძლიერ მსუნაგია და ადამიანს მეტათ ეტანება. ხოლო ტანჩაცმულსა და მორთულს კი ვერას აკლებს და არც თვითონ იწუხებს თავს. ხოლო თუ შიშველ-ტიტველი ვინმე იხელთა წყალში, მაშინვე გაჰკრავს თავის ბასრსა და ხორკლებიან კბილებს და იმსხვერპლებს. სასაცილოთ ეცვლებათ სახეც მზის სხივებისა და ზღვის მლაშე წყლის ზეგავლენით: მათი თმა მოყვითანო ჩალის ფერს იღებს. ყვითელი თმა შავ სახე—ტანზე?!.

მარგალიტის ნიჟარა გარდა მარგალიტის თვალისა აგრეთვე „პერლამუტრსაც" იძლევა. მცირე და ხელ-მოკლე მწარმოებელნი ამ პერლამუტრით იბრუნებენ სულს, თორემ თქვენი მტერი, მათ საქმე მოუვიდოდათ: 600 ფუთი ნიჟარა უნდა ამოზიდო, რომ ძლივს-ძლიობით იპოვო ერთი მარგალიტის თვალი, რომელიც 10 დოლარათ ანუ 13 მან. 50 კაპ. ღირება.

არც იმ მოყურჭუმელავეთა მდგომარეობაა ტკბილი და უხიფათო, რომელნიც წეს-რიგზე არიან მორთულ-მოკაზმულნი. ერთი გერმანელი, რომელიც მოყურჭუმელავეთ იყო რამდენსამე ხანს ავსტრალიის ზღვებში, მოგვითხრობს, რომ, სანამ მოყურჭუმელავეს ახირებულ ტანსაცმელს მიეჩვეოდეო, მანამდის ბევრი წვალება და ტანჯვა უნდა გამოევლოვო. პირველი უსიამოვნება ის არის, რომ ჰაერის სასუბთავებელ მილში სული გეხუთებათ და ჰაერი ისეთი ძალით გაწვებათ თავზე, ასე გგონიათ, რამდენიმე ასი ფუთი ტვირთი დაგადევსო. ასეთი უსიამოვნო გრძნობა რომ თავიდან აიშოროთ, ამისათვის უნდა ძალზე ჩაისუნთქოთ ჰაერი, და პირი, ლოყები გამობეროთ—გამობუშტოთ, რომ გაუტოლოთ, გაუსწოროთ სიმძიმე გარეგანი და შინაგანი ჰაერისა. ამავე დროს უნდა იცოდეთ აგრეთვე, როგორ უნდა ამოისუნთქოთ, თორემ მცირე შეცდომა ამოსუნთქვაში, და ისევ ის აუტანელი გრძნობა გეწვევათ. სიტყვით, აუტანელი და არა სასიამოვნოა ხელობა მარგალიტის თვალის მძებნელთა.

ნაშოვნ მარგალიტის თვალს ცხრილში გაატარებენ და ასე დაანაწილებენ სიდიდით შვიდ რიგათ. მოდიდო მარგალიტის თვალი ფასობს თვისი ნიშნობლივი თვისების მიხედვით, ხოლო პატარანი წონით იყიდებიან. პარიჟი უმთავრეს ადგილს წარმოადგენს, სადაც მარგალიტის თვალს ასაღებენ. უდიდესი, უშვენიერესი და უსუბთავესი მარგალიტის თვალი მხოლოთ აქ, პარიჟში იშოვება. მარგალიტის თვალი მოყვითანო ფერისაცაა, და ამ ნაირი კი აღმოსავლეთის ხალხებში საღდება, იყიდება.

---

# „მოამბე", „ივერია" და ეროვნობა.

## V

შემდეგი *)

გადავიდეთ რუსეთზე. ჩვენ ვწერდით: „რუსეთის ამ საუკუნის ისტორია პარტიობის ისტორიაა"-მეთქი. „ივერია" ამაზე ასეთ შენიშვნას იძლევა: „ფრიად საინტერესო იქნება, თუ ბ. ჟორდანია ინებებს და ამ შეხედულებით აგვიხსნის რუსეთის ისტორიასო". ცხადია „ივერიას" უფიქრია, ვითომ პარტიობის საშუალებით შეიძლებოდეს ისტორიის ახსნა, ჩვენ კი ისტორიის საშუალებით ვხსნით პარტიობას.

რაც ჩვენ ვთქვით გერმანიის ინტელიგენციის შესახებ, იგივე შეგვიძლია ვთქვათ რუსეთის შესახებაც, იმ გარჩევით, რომ რამდენათ რუსეთი გერმანიაზე უფრო ნაკლებათ იყო ეკონომიურათ განვითარებული, იმდენათ მისი ინტელიგენციის იდეოლოგიური მოძრაობა გატაცებული და ძლიერი უნდა ყოფილიყო. რუსეთის ამ საუკუნის ისტორია ტრაგი-კომიკურია. ერთის მხრით, მას სურს რაც ევროპაში საუკუნოების განმავლობაში შემუშავებულა (სახეში მაქვს ინგლის-საფრანგეთი, რასაკვირველია), ის რამდენიმე წლის განმავლობაში შეითვისოს და ცხოვრებაში შეიტანოს. ასეთია თავის თავის ძალათ განდიდება. მეორე მხრით, ამ სურვილმა ისეთი ძალ-ღონე და ენერგია აღძრა მოწინავე რაზმთა შორის, რომ კომედია დრამათ გადაიქცა და მთელი ქვეყანა ვანცვიფრებაში მოიყვანა.

რუსეთს გვერდში ამოეჭიმა დასავლეთი ევროპა მთელი თავისი სამხედრო და სამოქალაქო ძლევა-მოსილობით. ამით მისი ისტორიის ჩალხის მიმა-

*) იხ. „კვალი" № 32

როულებაც გადაჭრილი შეიქმნა. მას ედვა ორი გზა: ან უნდა დარჩენილიყო იმათ, რათაც წინათ იყო ე. ი. აღმოსავლეთის გაუნათლებელ, განუვითარებელ ქვეყნათ, ან და ევროპის გზას დადგომოდა და ამაზე აეგო მერმისი. პირველ შემთხვევაში, რასაკვირველია, ის ვერ გაუწევდა ძლიერ ევროპას ვერავითარ მოცილეობას ვერავითარ ასპარეზზე. რომელ ერსაც დღეს სიცოცხლე სურს, ის იმ იარაღით უნდა აღიჭურვოს, რომლითაც მოწინავე ერნი არიან აღჭურვილნი. ახალი სისტემის თოფ-ზარბაზნის წინააღმდეგ შვილდ-ისარით ან კაჟიანი თოფით რომ გამოხვიდე, შენი ხვედრი წინდაწინ ცნობილია—ძლეულ იქნები. რუსეთი კარგა ხანია მეორე გზას დაადგა, მაგრამ დაბეჯითებით შეგვიძლია ვთქვათ, ამ საუკუნემდი დიდი არაფერი გაუკეთებია. მან გვიანამდი ვერ შეიგნო, თუ რას ქვია გაევროპიელება, სად არის ამის დედა-ძარღვი. ამისათვის პირველათ გარეგან სახეს მიაქციეს ყურადღება. ასეთი თუ ისეთი ტანისამოსი, ასეთი თუ ისეთი პირის სახის შეკეთება, ეს თუ ეს სასაუბრო ენა და სხ. ამისთანაები — აი, რით დაიწყეს რუსეთის განათლება (ხანა პეტრე დიდის, ეკატერინა მეორის და სხ.). მხოლოთ ამ საუკუნეში აშკარა გახდა, რომ გაევროპიელება ნიშნავს ეკონომიურ განვითარებას. ამის შეგნებამ დიდი მსხვერპლი მოითხოვა. რუსეთის წყობილების უვარგისობა და არარაობა ფაქტიურათ, აშკარათ უნდა დამტკიცებულიყო. ეს შეასრულა ყირიმის ომმა. რუსეთი მოხვდა ევროპას და დამარცხდა. ასე გასინჯეთ ინგლისს ლონდონიდან უფრო ადრე მოყავდა ჯარი შავ ზღვაზე, ვინემ რუსეთს პეტერბურგიდან. აქედან იწყება მეორე ხანა რუსეთის ისტორიაში. ბატონ-ყმობის გაუქმება, სასამართლოების, სასწავლებლების, სამხედრო წყობილების შეცვლა-გაუკეთესება—აი, ახალი მიმართულება. დახსნა რკინის გზების, გამრავლება ხომალდების, აღორძინება ვაჭრობა-მრეწველობის— აი, შინაარსი ამ მიმართულების. რუსეთი დაადგა გაევროპიელების გზას. აქაც, როგორც გერმანიაში, ცხოვრების ასეთ მიმდინარეობას წინ უსწრობს აზრთა მიმდინარეობა, დასთა აღორძინება და გაევროპიელებისათვის შეგნებულათ ბრძოლა. განა შეეძლო ინტელიგენციას გულ-გრილათ ეცქირა დასავლეთ ევროპისათვის, სადაც პოლიტიკური ცხოვრება დუღდა და გადმოდუღდა? არა, მან მოისურვა თავისი სამშობლოც ასეთ პირობებში შეცურებულიყო და აქეთ მომართა თავისი მოქმედება. ჯერ კიდევ ბატონ ყმობის უღელი ხალხს კისერზე ედგა, როცა მისმა წარჩინებულმა შვილებმა ევროპის პოლიტიკური ფორმების შემოტანა მოიწადინეს. ამან დაბადა დეკაბრისტების მოძრაობა. მწერლობაში გაისმა ხმა ბატონ-ყმობის წინააღმდეგ, (ტურგენიევი, გოგოლი, გერცენი, ოგარევი, ჩერნიშევსკი და სხ.) ასეთი მუდმივი ღაღადების შედეგი შეიქმნა მესამოცე წლებში მთავრობის და საზოგადოების მხურვალე მოქმედება, კონსერვატიული ძალა ძლეულ იქმნა და დადგა რეფორმების ხანა. ინტელიგენციამ, როგორც ყოველთვის, წინ წაასწრო თავისი აზრებით მთავრობის ლიბერალურ ლტოლვილებას. მან შეითვისა დასავლეთი ევროპის სოციალური თეორიები (განსაკუთრებით პრუდონის და ლუიბლანის) და შეუდგა მის განხორციელებას. მაგრამ აქაც ისეთივე დაბრკოლება დახვდა, როგორიც გერმანიის ინტელიგენციას. დასავლეთი ევროპის თეორიები კაპიტალიზმის შედეგი იყო. რუსეთში კი კაპიტალიზმი არ არსებობდა. აი, ასეთ აბნეულ მდგომარეობისაგან ინტელიგენცია გამოიყვანა წიგნაკმა „Философскія предубѣжденія противъ общиннаго землевладѣнія". ავტორი ნათლათ ამტკიცებდა, რომ რუსეთის „общинна"-ს შეუძლია პირდაპირ (უკაპიტალიზმოთ) გადავიდეს სოციალისტურ წყობილებაშიო. სამწუხაროთ ეს დამტკიცება იყო მატემატიკური და არა ფაქტიური. ასე თუ ისე ახალგაზდობა დაადგა ამ გზას. მეორე მხრით ამან დაბადა შიში და წინანდელი ლიბერალური მიმართულება კონსერვატიულათ გახადა. ეს ორი ძალა შეეჯახენ ერთმანეთს. ორივე მხარე ერთ და იმავე საფუძველზე იდგნენ: ძველ, პატრიარქალურ ეკონომიურ წყობილებაზე. —ეს წყობილება არსებობს საუკუნოების განმავლობაში და არავითარ უმაღლეს ფორმაში არ გადასულა, მაშ რატომ დღეს უნდა გადავიდეს? კითხულობდენ კონსერვატორები. რატომ და ინტელიგენციას სურს, მან დაინახა ეს ხალხის საბედნიეროთ —უპასუხებდენ პროგრესისტები. ამან გამოიწვია „კრიტიკულ მოაზრეთა" ყოვლად შემძლებლობის მოძღვრება თავისი „სუბიექტური მეთოდით" იგივე ფილოსოფიური მოსაზრება, რაც გერმანიაში, მხოლოთ უკიდურეს ხარისხამდე მიყვანილია. *) ამ

---

*) „საპატიო მიზეზის" გამო აქ ვერ განვიხილავთ ყველა იმ დასებს, რომელნიც დაიბადნენ ამ საერთო ნიადაგზე. ჩვენი მიზანია მხოლოთ გავარკვიოთ ის დედაბოძი, რომელზედაც იყვნენ დაყრდნობილი ინტელიგენციის სხვა-და-სხვა ფრაქცია, ეს დედა-ბოძია „народничество" (სიტყვა „ტეტიათა მოტრფიალე" ამას კარგათ ვერ ხატავს, მაგრამ უკეთესის უქონლობის გამო, ვიხმართ). ყველა ფრაქცია, დაწყებული სლავიანოფილებიდან და გათავებული უკიდურესი დასით, ერთ და იმავე თეორიას აღიარებდენ: რუსეთმა სხვა ისტორიული გზა უნდა გააკეთოს, ვინემ დასავლეთ ევროპამაო. ამ სათავიდან სრულიად სხვა-და-სხვა დასკვნები გამოყავდათ. პირველნი იცავდენ ყო-

ბრძოლაში მიდიოდა დრო და მასთან ერთათ გზას იკაფავდა კაპიტალიზმი. მართალია „ზედ-შენობის“ საფუძველი ძველი ეკონომიური წარმოებაა, მაგრამ დასავლეთ ევროპას რომ გაეჯიბროს, გაუზადლდეს, საჭირო შეიქმნა მფარველობა ყოველივე იმის, რაც ხალხში შრომას ავითარებს, ფულს ატრიალებს ე. ი. ვაჭრობა-მრეწველობას. სახემწიფოსათვის ფულია საჭირო, ფული კი ხალხმა უნდა გადაიხადოს. რა-ნაირათ შეუძლია გადაიხადოს, თუ კი ის ალებ-მიმცემი არ არის, არ ყიდის თავის ნაშრომს და ფულს არ იძენს. ეს ცხადია დღესავით. მაშასადამე სახელმწიფოს პირდაპირი ინტერესია ხალხი გამოვიდეს კაპიტალიზმის გზაზე. „ზედ-შენობა“ ძირს ითხრის,

რაკი კაპიტალიზმი სოფელს მიწვდა, ის მიინგრ-მოინგრა და გაჩნდენ ის ტიპები, რომელნიც ასე ჩინებულათ აქვთ დახატული გლებ-უსპენსკის, კოროლენკოს და სხვა რუსეთის მწერლებს. გლეხის ნივთიერი მდგომარეობა შეირყა. მისი ცხოვრების საძირკველი—მიწის საერთო მფლობელობა—მოხვდა ახალ ელემენტს—ფულს და ერთიანათ დაიმსხვრა. გამოჩნდა, რომ ამ მობერებულ ეკონომიურ ფორმას არავითარი ცხოველ-მყოფელი ძალა არ ქონებია ახალ ეკონომიურ ფორმასთან საბრძოლველათ. ცხადია მიმართულება ამ მოუძლურებულ ნიადაგზე აშენებული ოცი წლის წინათ მოკლებულია დღეს ყოველსავე "raison dètre"-ს. რის გარკვევა ვერ შეძლეს მაშინდელ გენიოსებმა, დღეს ცხოვრებამ საშინელი სიადვილით გაარკვია და გახსნა. რაც მაშინ გენიოსური მოსაზრება იყო, ის დღეს ანაქრონიზმია. „ნაროდნიკობა“ მაშინ აუცილებელი იყო, დღეს კი გზადაბნეულია. ის წარმოადგენდა რუსეთის აზროვნების უმაღლეს განვითარებას, მის მწვერვალს, დღეს კი აზროვნობის დაცალიერებას, დაქვეითებას. მან მაშინ გაიტაცა და აამოძრავა ყველა, ვისაც კი ხალხის ბედ-იღბალი ჩალათ არ მიაჩნდა, ვისაც სამშობლოს სიყვარულის ნაპერწკალი გულში უღვიოდა, დღეს კი აღარავის არ აინტერესებს, პირ-იქით ყველას აძინებს, „ნანინას“ ეუბნება. აშკარაა მაშინდელი დრომა დღეს ფარსათ გადაქცეულა და თანახმათ ამისა შეცვლილან მომქმედნი პირნი. დრამის მეთაურნი იყვნენ, ჩერნიშევსკი, დობროლიუბოვი, პისარევი, შელგუნოვი, მირტოვი და ძმანი მათნი; ფარსის—კარეევი, მიხაილოვსკი, ვასილი ვარანცოვი, კრივენკო და სხ. acta est fabula!

ამ ნაირათ ცხოვრების განვითარებამ, კაპიტალიზმის წარმატებამ გამოაცალა საფუძველი „ნაროდნიკებს“. ამას უნდა გამოეწვია მეორე ალაგის მეორე ძალა. ვერც ერთი მიმართულება ვერ მოიკიდებს ფეხს, თუ ის რაიმე გასაზღვრულ ნიადაგზე არ არის აშენებული, ისეთ ნიადაგზე, რომელიც თანდათან ფართოვდება, ნოყიერდება და შეადგენს მომავალს. პატრიარქალური წარმოება ირღვევა, ჰქრება, მაშასადამე ამაზე დამყარებული იმედებიც უნდა გაქრეს. კაპიტალისტური წარმოება გზას იკვლევს, ვითარდება, მაშასადამე ამის თანაბრათ შემუშავებული პროგრამა ხანგრძლივი, ცხოველ-მყოფელია, მომავალიც მისია. კაპიტალიზმის ტენდენციამ ერი დაყოს ორ-ნაწილათ: ფულიანი და უფულო, მდიდარი და ღარიბი, ბურჟუა და მუშა. ეს ორი ძალა ერთმანეთის მტერია, მათი ინტერესები ერთმანეთს ეწინააღმდეგებიან. ამისათვის ცხოვრებაშიაც ორი მიდრეკილება ჩნება, ერთი მფარველობს კაპიტალის ინტერესებს, მეორე—შრომისას. პირველია ბურჟუაზიული მიმართულება სხვა-და-სხვა ფორმით, სხვა-და-სხვა სახელით, მეორე სოციალ-დემოკრატიულია. ესენია მომავლის დასები, ბრძოლა ამათ შორის წარმოებს. ყველა დანარჩენი დასი ან ერთს ემხრობა, ან მეორეს, სხვა გზა არ აქვს. ამ სახით ეს ორი ნიადაგი სრულებით სხვა-და-სხვაა, მათი ერთმანეთში არევა შეუძლებელია. ეს იმას არ ნიშნავს, რომ მათი კავშირი არაოდეს არ შეიძლებოდეს. 1847 წ. მარქსი და ენგელსი ცნობილ „მანიფესტში“ აცხადებდენ: გერმანიის სოციალ-დემოკრატები უნდა შეუერთდენ ბურჟუაზიულ დასებს, რომ საერთო ძალ-ღონით პოლიტიკური თავისუფლება მოიპოვონო; სოციალ-დემოკრატები ყოველგან და ყოველთვის უნდა შეუერთდენ პროგრესიულ დასებს კონსერვატორების წინააღმდეგო და სხვა. ასეთი შეერთება დღეს ევროპაში ყოველ დღე ხდება, საფრანგეთში უერთდებიან რადიკალებს, გერმანიაში თავისუფალ—მოაზრეთ, ცენტრს და სხ. (არჩევანებში ან პარლამენტის ბჭობის დროს), ეს ასეა ყოველგან. მხოლოთ „ივერიისთვის“ ეს ასე არ არის. ის გვატყობიებს: „რუსეთის ნაროდნიკები, მარქსისტები და ლიბერალები პროგრამის ერთს მუხლზე შეერთდენო, აქედან კი გამოყავს ვითომ ისინი გაერთიებულიყვენ და სამის მაგიერ ერთი პროგრამმა შეიმუშავესო *) განა შეერთება გაერთებას მოასწა-

---

ველივე ძველ-წყობილებას, მეორენი მხოლოთ პოლიტიკური ფორმის გაევროპიელებას მისდევდენ და ამის საშუალებით ხალხის უმაღლეს ეკონომიურ საფეხურზე გადაყვანას.

*) ის კი აღარ გვითხრა, რატომ „ივერია“ არ იხსენიებს კონსერვატიულ დასს. არ არსებობს? ცხადია რატომ, მან აიჩემა პარტიებს თავისუფალი პოლიტიკური ცხოვრება ქმნისო, მხოლოდ რომ" ეთქვა რუსეთში პრო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ევბს? სამივე პარტია სხვა-და-სხვა ნიადაგზე დგანან, ჯერ ეს ნიადაგები უნდა გაერიდენ და მერე ზედ-აშენებული პარტიები. მარქსისტები შრომის ინტერეს იცავენ, ლიბერალები კაპიტალისას. პირველი ებრძვის მეორეს, მეორე პირველს და უცხოეთის კონკურენციას. ამ სხვა-და-სხვა გზაზე ორივეს ხელს უშლის ერთი და იგივე გარემოება. იმის შეცვლაში ორივე სხვა-და-სხვანაირათ არიან დაინტერესებულნი. ვინ არის შემცვლელნი? ზევით გავარკვიეთ: მას შემდეგ რაც მუშა-ხალხი გამოვიდა საპოლიტიკო ასპარეზზე, ბურჟუაზიამ დაჰკარგა რევოლიუციონური ძალა. ცხადია ლიბერალები დარჩებიან მხოლოთ მნატვრელებათ ნეტავ ეს ასე იქნებოდესო, სწორეთ ისე როგორც „ივერია“ ნატრულობს, ნეტავ, „ზედ-შენობა“ არ მიშლიდეს ხელს თორემ პარტიობა რა უნდა იყოსო. „ნაროდნიკები?“

როგორც ზემოთ მოვიხსენიეთ „ნაროდნიკების“ მოძღვრება აზროვნობის დაცალიერებაა, რეაქციაა' აი მათი ტეზისები: კაპიტალიზმი ვერ განვითარდება რუსეთში, მშრომელი ელემენტის უმრავლესობა სოფელშია და არა ქალაქში; ინტელიგენციას შეუძლია ხალხის წარმოება ახალ ნიადაგზე დააყენოს და მით ააცილოს კაპიტალიზმს. ამის განხორციელებისათვის საჭიროა არავითარი გარეშე გარემოება წინ არ გვეღობებოდესო. ეს უტოპიური თეორიები „ივერიას“ სიტყვა-სიტყვით გადმოულია და საქართველოს ცხოვრებაზე მიუკერებია. ამნაირათ „ივერიის“ ახალი მიმართულება ის მიმართულებაა, რომელმაც რუსეთში თავისი დრო მოჭამა და ახლა ვასილი ვორონცოვის ანაბარათ დარჩა. უტოპიური აზრები გერმანიიდან რუსეთში გადმოვიდა, რუსეთიდან ჩვენში, ამას იქით ველარ წავა, სპარსეთში მგონი ვერ იხეირებს. უკანასკნელი საბუდარი „ივერიაა“. („ივერია« გვარწმუნებს ეს თეორიები ხელს უშლიან კაპიტალის განვითარებასო; ნამდვილათ კი, კაპიტალის განვითარება ხელს უშლის ამ თეორიას) შევადაროთ „ნაროდნიკები“ და კონსერვატორები ერთმანეთს:

| | |
|---|---|
| კონსერვატორები | —ძველი პოლიტიკური წყობილების დაცვა:—ახალი ეკონომიური წყობილების შემოღება. |
| „ნაროდნიკები“ | — ახალის შემოღება ; — ძველი ეკონ. წყობილების დაცვა. |

პირველის მიზანი რეგრესიულია, მეორის —პროგრესიული, პირველის ეკონომიური მიდრეკილება პროგრესიულია, მეორის —რეგრესიული. პირველნი მეცადინეობენ მობერებულ ფორმაში ახალი შინაარსი გამოხვიონ, მეორენი —მობერემული შინაარსი ახალ ფორმაში გამოხვიონ. ესენი ეწინაალმდეგებიან თავიანთ თავს, ეწინაალმდეგებიან ერთმანეთს მხოლოთ, იმიტომ, რომ ერთი და იგივე აღიარონ: შესაძლებელია შინაარსი უფორმოთ, ფორმა უშინაარსოთ. ორივე კონსერვატორებია. მათ ხალხისთვის ზრუნვას თითქმის ერთი და იგივე შედეგები მოსდევენ. კონსერვატორები ემსახურებიან კაპიტალის ინტერესებს. (რასაკვირველია იმიტომ რომ სახემწიფოს შემოსავალი გაძლიერდეს) „ნაროდნიკები“ უარყოფენ კაპიტალიზმის განვითარებას და ვერ ხედვენ იმ კოთხვებს, რომელნიც კაპიტალიზმა გამოიწვია. ისინი ოცნებობენ იმაზე, თუ როგორ გაამდიდრებენ სოფელს ერთ დღეს, ერთი რეცეპტით. მაგრამ, რადგანაც სოფლის გამდიდრებას „ივერიის“ სიტყვით გარეშე გარემოება ხელს უშლის, ეს ჩვენი „ტეტიათა მოტრფიალენი“ რჩებიან უნიადაგოთ, ჰაერში გამოკიდულნი.

„ტეტიათა მოტრფიალეთ“ (რუსულათ „ნაროდნიკები“)ერთი ახირებული საქმე დაემართათ. სრულიათ გამოვპარათ ჩვენი უკანასკნელი ოცდა-ათი წლის ისტორია. გამოვპარათ აგრეთვე დასავლეთი ევროპიის ისტორია და მთელი დღევანდელი ცხოვრება. მათ გონიათ, ახლანდელი ცხოვრების დედა-ბოძი სოფე ლიაო. ამისათვის მუდამ გაიძახიან სოფელში, სოფელში წადითო. ეს სოფლის ტრფიალი ისე გაძლიერებულია ჩვენს მწერლობაში, რომ იშვიათათ იბეჭდება წერილი, რომელიც არ იწყებოდეს სოფლით და არ თავდებოდეს სოფლითვე. რადგანაც მშრომელი ხალხის უმეტესობა სოფლათ არის ჯერჯერობით, ამიტომ ინტელიგენცია ქალაქს უნდა მოშორდეს და სოფელში წავიდესო. პირველი წინადადება ფაქტია, დასკვნა კი ყალბია. ეს არ ნიშ-

---

გრესიული პარტიას გარდა კონსერვატიული არისო, ვამოჩნდებოდა რომ დასები უკვე უოფილა და მის მიერ აწემებული ტეზისიც დაირღვევოდა. ასეთ მდგომარეობაში ვარდება ყოველთვის „ნაროდნიკი“, ის ოცნებით გატაცებული, ფაქტებს ვეღარ ხედავს.

ნავს, ვითომ დღეს სოფელს ეჭიროს პირველი ალაგი და არა ქალაქს. სოფლის და ქალაქის როლი ისტორიაში სრულიად სხვა-და-სხვანაირია და ერთი მეორეს ეწინააღმდეგება. ეს კითხვა შეიცავს მთელს ძველ და ახალ ისტორიას. ჩვენ მხოლოთ აქ აღვნიშნავთ უმთავრეს დედა-აზრებს.

ნ. ჟორდანია

(დასასრული იქნება)

## სამინელი ქარიშხალი

(გაგრძელება მოთხრობისა „პირველი ტალღები“)

შემდეგი *)

### XII

ასე გათავდა კნეინა ბარბალეს საღამო. ყველა გრძნობდა, რომ უქმათ დაჰკარგა რამოდენიმე საათი და ეჩქარებოდა, აწი მაინც დანაკლისი შეევსო.. მაშ რათ იკრიბებოდენ, ძალას ვინატანდათო? იკითხავს მკითხველი. იკრიბებოდენ ერთმანეთის წახედულობით, თვით კნეინა ბარბალემაც წახედულობით შემოიღო საღამოები აბასთუმანში. კნეინა ბარბალე იყო ერთის ქვემოურის ვაჭრობითა და იჯარებით გამდიდრებული აზნაურის ქალი. სიმდიდრესთან სილამაზეც ჰქონდა ბარბალეს და ეს იყო მიზეზი, რომ ცოლათ შეირთო წარჩინებული გვარის თავადიშვილმა ტარიელ გურამელიძემ, რომელსაც თავისი არარაფერი გააჩნდა. ტარიელი კარგის ოჯახის შვილი იყო და, თუმცა არსად ესწავლა, ნასწავლებს თავს არ უდებდა. შეირთო თუ არა ბარბალე, მაშინვე პეტერბურგს წავიდა და რამოდენიმე ზამთარი იქ გაატარეს ცოლ-ქმარმა. პეტერბურგიდან ბარბალე რუსულ ნასწავლი დაბრუნდა და თანაც უნდოდა მიებაძნა იქაურ არისტოკრატებისათვის. ამიტომაც ჩამოვიდა თუ არა წელს აბასთუმანს, დანიშნა სამშაბათობა იმ განსხვავებით, რომ ამ საღამოებზე მხოლოთ საზოგადო კითხვებზე უნდა ყოფილიყო ხოლმე სჯა-ბაასი. ამ სჯა-ბაასში, როგორც ვნახეთ, მხოლოთ რამოდენიმე პირი იღებდა მონაწილეობას, მაგრამ სიარულით კი ყველა დადიოდა, რადგან არავის უნდოდა სხვებს ჩამორჩენოდა და გაუნათლებლათ ჩაეგდო თავი; მით უმეტეს, რომ სამშაბათობით სატანციო საღამოები არ იყო და ხელს არაფერი უშლიდათ კნეინა ბარბალესთან წასვლას...

— როგორ მოგეწონათ ჩვენი საზოგადოება? ჰკითხა მარომ დათას, როცა გზაზე გამოვიდენ და მარტონი დარჩენ.

— ისე მომეწონა, რომ არასდროს აღარ გავერევი მათში, მიუგო დათამ: ღმერთმა დამიფაროს, აწი კნეინა ბარბალეს საღამოს დავესწრო!

— არა, რა დროს შეწყვეტა იმ უსინიდისომ მსჯელობა? ჩაერია ლაპარაკში კოწია.

— ეჰ, ჩვენი ცხოვრება სულ ასეა: ვლაპარაკობთ მხოლოთ იმისთვის, რომ ვილაპარაკოთ, და არა იმისთვის, რომ საქმე გამოვარკვიოთ და ვიმოქმედოთ! თქვა დათამ.

— როგორ მგონია, თუ დათასაც არ ჩამოართმევდა ხელს? უთხრა კოწიამ მაროს ცოტა ხნის შემდეგ.

— ხომ გითხარი, პირველ გაცნობაზე არისტოკრატები ხელს არავის ართმევენ-მეთქი, უთხრა მარომ.

— მე რომ კი ჩამომართვა? აბა თავადიშვილი ყოფილიყო, თუ არ ჩამოართმევდა, ვნახავდი!

— მელიტონ ზონარიძე რა თავადიშვილია, რომ ხელიც კი გაუყარა მისთვის? იკითხა დათამ

— მელიტონს სხვა ამბავი აქვს; ისე თუ დაუახლოვდები, მაშინ შენც გაგიყრის! არა მარო? ჰკითხა კოწიამ დას ღიმილით, მაგრამ მაროს ხმა არ გაუცია ძმისთვის და თავჩაღუნული მიდიოდა წინ. ეტყობოდა, რომ ღრმა ფიქრებში იყო წასული. დათას ამაღამდელმა სიტყვამ ერთი აზრი დაუბადა მაროს და ისიც იმაზე ჰფიქრობდა.

იმ სამაზრო დაბაში, რომელშიაც ქაიხოსრო გოჯასპირიძე იყო მაზრის უფროსათ, წინანდელ მაზრის უფროსის ცოლს ერთ კლასიანი სკოლა დაეარსებინა. დამაარსებელს შემდეგ სკოლის მზრუნვე-

*) იხ. „კვალი“ № 33

ლათ მარო იქმნა არჩეული, როგორც მაზრის უფროსი ცოლი და ისიც შეუდგა სასწავლებლის გაუმჯობესობაზე ზრუნვას. იმდენი იმეცადინა მარომ ამ ერთი წლის განმავლობაში, რომ ქმრის შემწეობით და ადგილობრივი საზოგადოების დახმარებით, მომავალ ენკენისთვიდან ერთკლასიანი სკოლა ორკლასიანათ აქცია და, რადგან სკოლაში შეიძლებოდა ვაჟებსაც ევლოთ, ერთ მასწავლებლათ შესაძლებელი იყო, კაციც მოეწვიათ. მაროს მოუვიდა ფიქრათ, ეთხოვა დათასთვის მის სკოლაში მასწავლებლობა. თუ დათანხმდებოდა, მაროს ბედნიერებას საზღვარი აღარ ექმნებოდა, რადგან ჯერ ერთი, სამაგალითო მასწავლებელი ეყოლებოდა მის სკოლას და მეორე, საყვარელი არსება თავისთან ეყოლებოდა!.. იმ ღამეს გამოაწყო მარომ, როგორ ეთქვა თავისი აზრი დათასთვის და მეორე დღეს ჩაის სმის დროს მეტის მეტათ აღელვებულმა ამ სიტყვებით მიმართა:

— დათა, თქვენ წუხელის თქვით თქვენ სიტყვაში, რომ ჩვენთვის რიგიანი სკოლებია საჭირო, რომ ახლანდელი სკოლები ვერ აკმაყოფილებენ ჩვენი ცხოვრების მოთხოვნილებას და ყოველი ჩვენი ცდა იმაზე უნდა იქმნას მიქცეული, რომ ჩვენთვის გამოსადეგი სკოლები დავიარსოთო, მაგრამ, თქვენის თქმის არ იყოს, ჩვენ არ შეგვიძლია ამ ჟამათ, როგორც ჩვენ გვინდა, იმისთანა სკოლების დაარსება.

— მართალია, თქვა დათამ: ჩვენში სკოლებს ბოქაულები აარსებენ მხოლოთ მისთვის, რომ თავი გამოიჩინონ და ინსპექტორ-დირექტორიბის სურვილი აღასრულონ.

— კარგი, მაგრამ, სანამ ჩვენი სკოლები არ გვექმნება, მანამდის რომ უკვე დაარსებულ სკოლებში კარგი მასწავლებელი გვყავდეს, მე მგონია, სულ არარაობს აჯობებს!

— რასაკვირველია, და მეც სწორეთ იმიტომ წავედი ისტორიულ-ფილოლოგიურ ფაკულტეტზე, რომ მასწავლებლათ შევსულიყავი სადმე და ცოტათი მაინც სარგებლობა მომეტანა ქვეყნისათვის, მაგრამ, როგორც იცით, უარი მითხრეს!

— ეს გიმნაზიებში გითხრესთ უარი და სადმე დაბალ სასწავლებელში რომ მოგეცათ ადგილი, დათანხმდებოდით? ჰკითხა ჭარხალივით გაწითლებულმა მარომ.

— აა, წამოიძახა კოწიამ: ახლა მივხვდი, რატომაც იყავი წუხელის ჩაფიქრებული! რაღა ბევრს აჭიანურებ პირდაპირ უთხარი და ის იქნება. დათა, მიუბრუნდა კოწია დათას, ჩემ დას უნდა გთხოვოს, რომ №-ის სკოლაში შეხვიდე მასწავლებლათ, რომლის მზრუნველათაც ის ითვლება.

— დიდის სიამოვნებით თქვა, დათამ, თუ კი შესაძლებელი იქნება.

— მაშ თანახმა ხართ? ჰკითხა გახარებულმა მარომ:

— ოღონდ თქვენ დათანხმდით და მოხერხებით მე მოვახერხებ ყველაფერს.

— დიდი სიამოვნებით, განიმეორა დათამ.

— ბინა, რასაკვირველია, ჩვენსა გექმნებათ, თვეში ოთხ თუმნამდის სკოლიდან მიიღებთ, და კერძო გაკვეთილებს კიდევ ბევრს იშოვით გარდა დათასი, რომლის მასწავლებელსაც ცოტას არ დავაჯერებთ, ეუბნებოდა აღფრთოვნებული მარო.

— ბატონო, რა მაგდენს მებოდიშებით, უკეთეს ბედს, მე ნატვრითაც ვერ ვინატრებდი! უთხრა დათამ.

— მაშ მე დღესვე მივიწერები №-ში, რომ მასწავლებელი ვიშოვე და აღარ ეძებონ! წამოიძახა მარომ და დაუწყო ძებნა ქაღალდს და საწერ-კალამს.

— ძალიან კარგი! უთხრა დათამ.

პატარა ხანს შემდეგ მარო და დათა, ორივე ბედნიერი და კმაყოფილი ერთი აბანოსკენ წავიდა, მეორე გაკვეთილის მისაცემათ.

„ოჰ, როდის დადგება იმისთანა ბედნიერი დრო, რომ ორი მოყვარული, ერთმანეთისთვის თვით განგებითვე გაჩენილი არსება სრულიად ერთმანეთს ეკუთვნოდენ და სხვა-და-სხვა გარეშე მიზეზების ძებნა არ იყოს საჭირო, რომ მათ თავისუფლათ შეეძლოთ ერთათ ყოფნა?“ ჰფიქრობდა კოწია, როცა ჰხედავდა იმ ნეტარებას, რომელიც მაროს სახეზე იხატებოდა.

დუტუ მეგრელი.

(შემდეგი იქნება)

შეცდომის გასწორება: ,,კვალის“ მე-32 №-ში სტატიაში ,,საყურადღებოთ მეფსალმუნეთა და მგალობელთა“ შეცდომით არის დასტამბული: ,,ანუ სხვა შემთხვევაში დაიწყებოდეს ესრეთ: ,,ტიმოთე, მამართ“. უნდა იყოს ასე: ,,ამ შემთხვევაში კანონიერია დაიწყებოდეს ესრეთ: ტიმოთეს მიმართ“.

ამავე სტატიაში დასტამბულია რუსული წინადადება: „слѣдина пакрыла его“. უნდა იყოს ესრეთ: „сѣдина покрыла его“.

რედაქტორ-გამომცემელი ან. თ.-წერეთლისა.

# ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოების ანგარიშების მდგომარეობა

## ივლისის 1-ს 1895 წელს.

### აქტივი.

| | ანგარიშთა სახელწოდება. | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | თავნი ვალი დაგირავებულს მამულებზე: | | | | |
| | ა) მოსესხეთა მამულებზე . . . . . . . . . . . . . | 9,252,536 | 44½ | | |
| | ბ) მამულებზე, რომელნიც არ გაყიდულან ვაჭრობით, არამედ დარჩენილან ბანკზე, თანახმათ § 77 წესდებისა . . . . . . . . . . . . . . . . | 257,691 | 74 | 9,510,228 | 18½ |
| 2 | ვალების გადახდაში: | | | | |
| | ა) რომელთაც ვადაში შეღავათი ეძლევათ (§ 71 წეს.) . | 302,956 | 25 | | |
| | ბ) რომელთაც ვადაზე გადუცილებიათ . . . . . . . | 2,342 | 92 | | |
| | გ) გაუყიდავ მამულზე რაც შემოსატანი ფულია დარჩენილი, თანახმათ § 77 წესდებისა და ირიცხება საზოგადოებაზე . . . . . . . . . . . . . . | 7,413 | 06½ | 312,712 | 23½ |
| 3 | ხაზინაში. | | | | |
| | ნაღდი ფული არის . . . . . . . . . . . . . . . . | 56,775 | 84 | | |
| | პროცენტიან ქაღალდებათ ძევს . . . . . . . . . . . . | 38,600 | — | 95,375 | 84 |
| 4 | სახელმწიფო პროცენტიანი ქაღალდები, რომელიც ეკუთვნის სულ თავნს 92,100 მ. . . . . . . . . . . . . | | | 91,771 | 31 |
| 5 | საწევრო ფული, რომელიც ინახება თფ. საურთიერთო საზოგადოებაში . . . . . . . . . . . . . . . . | | | 74 | 54 |
| 6 | შესატან-გამოსატანი ფულის ანგარიშით თფ. საურთიერთო საზოგადოების კრედიტში . . . . . . . . . . | 77,000 | — | | |
| | „ „ „ სავაჭრო ბანკში . . . . . | 111,000 | — | 188,000 | — |
| 7 | კორრესპონდენტებისაგან . . . . . . . . . . . . . . | | | 404,132 | 27 |
| 8 | მოსესხეთა ხარჯზე დანახარჯი ფული . . . . . . . . . | | | 10,753 | 84 |
| 9 | გადასატანი ფულები . . . . . . . . . . . . . . . . | | | 32,275 | — |
| 10 | სალერბო ფული . . . . . . . . . . . . . . . . . . | | | 2,323 | 60 |
| 11 | გამგეობაში და ოპერაციებზე დახარჯული ფული . . . . . | | | 23,895 | 13 |
| 12 | ბანკის წარმოების გასამართავათ დახარჯული ფული. | | | 5,311 | 65 |
| 13 | ვადიან კუპონებში მიცემული ფული . . . . . . . . . | | | — | — |
| 14 | მსესხებელთაგან ვადამდე შესყიდული კუპონები . . . . . . | | | — | — |
| 15 | კუპონები გამოსყიდულნი ვადამდე ხარჯის გამოკლებით . . . . . . . . . . . . . . . | | | — | — |
| 16 | ტირაჟში ამოსულ ობლიგაციების გამოსასყიდი თანხა . . . | | | — | — |
| 17 | კურტაჟი და კომისია . . . . . . . . . . . . . . . | | | 52 | 50 |
| 18 | 5% სახელმწიფო გადასახადი . . . . . . . . . . . . | | | — | — |
| 19 | ვადამდე შემოტანილი სესხი . . . . . . . . . . . . | | | — | — |
| 20 | ხარჯი იმ მამულებზე, რომელნიც საზოგადოებას დარჩა . . | | | 2,664 | 19 |
| 21 | 1894 წ. მოგებიდან 5% სახელმწიფო გადასახადი . . . . | | | 2,901 | 76 |
| 22 | ზარალი იმ მამულებიდან, რომელნიც საზოგადოებას დარჩა, და საჯარო ვაჭრობით გაყიდვის გამო . . . . . . . | | | 464 | 28 |
| | სულ . . . . | — | — | 10,682,936 | 33 |

## ᲞᲐᲡᲘᲕᲘ.

| № | ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲗᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲬᲝᲓᲔᲑᲐ. | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ობლიგაციები, რომელნიც 25 წ. და 5 თვ. ვადით აქვთ ხელში მსესხებელთ . . . . . . . . . . . . . . | | | 9,503,400 | — |
| 2 | ტირაჟში ამოსული ობლიგაციები, რომელნიც გამოსყიდულნი უნდა იქმნენ: | | | | |
| | 1 ივლისიდან 1895 წლ. . . . . . . . | 146,100 | — | | |
| | და უწინდელ ტირაჟებისა . . . . . . | 68,800 | — | 214,900 | |
| 3 | ვადიანი გამოსასყიდელი კუპონები: | | | | |
| | 1 პირველ ივლისიდან 1895 წლ. . . . | 239,167 | 50 | | |
| | უწინდელ ვადებისა . . . . . . . . | 7,042 | 50 | 246,210 | — |
| 4 | გამომსყიდველი თანხა . . . . . . . . . . . . . . . . . . | | | 166,136 | 11 |
| 5 | სასარგებლო „ . . . . . . . . . . . . . . . . . . | | | 237,688 | 40 |
| 6 | მმართველობისათვის სახარჯი შემოსატანი და სათადარიგო კაპიტალის შესაკრები . . . . . . . . . . . . | | | 83,002 | 25 |
| 7 | ერთდროებითი ჯილდო . . . . . . . . . . . . . . . . . | | | 14,086 | — |
| 8 | გადასატანი ფულები, რომელნიც საზოგადოებას არ ეკუთვნიან. . . . . . . . . . . . . . . . . . . | | | | |
| | ა) ნაღდი ფულით . . . . . . . . . . . . . . . . | 68,591 | $17^1/_4$ | | |
| | ბ) სარგებლიანი ქაღალდები . . . . . . . . . . . | 38,600 | — | 107,191 | $17^1/_4$ |
| 9 | სხვა-და-სხვა სარგებელი . . . . . . . . . . . . . . . . | | | 461 | 69 |
| 10 | გამომცხადებელნი . . . . . . . . . . . . . . . . . . | | | 1,719 | — |
| 11 | სათადარიგო თანხა . . . . . . . . . . . . . . . . . . | | | 92,599 | $43^1/_2$ |
| 12 | ჯარიმა . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . | | | 10,738 | 17 |
| 13 | შემოსავალი იმ მამულებიდან, რომელნიც საზოგადოებას შერჩა. . . . . . . . . . . . . . . . . . . | | | — | — |
| 14 | 5% სახელმწიფო გადასახადი . . . . . . . . . . . . . . | | | 1,529 | 21 |
| 15 | სესხთა ვადამდე გადამხდელი თანხა: | | | | |
| | ა) ობლიგაციებით . . . . . . . . . . . . . . . | — | — | — | — |
| | ბ) ნაღდი ფულით . . . . . . . . . . . . . . . | — | — | — | — |
| 16 | თანხა, რომელმაც უნდა დაფაროს კუპონების ზედ-მეტი გადასახადი, რაც დადგენილია სამინისტრო რევიზიით და ნამდვილი გადასახადი . . . . . . . . . . . | | | 3,274 | $89^1/_4$ |
| | სულ. . . | — | — | 10,682,936 | 33 |

I—V სერიის გამოსაცვლელი ობლიგაციები. 87,100—
„ „ „ მოსასპობელი . . . 874,300—

თავმჯდომარე ან. სოლ. ყორღანოვი.

დირექტორები { ბ. ტერ-ასატუროვი.
ნ. ზ. მირზოევი.

ბუხგალტერი ა. დურინოვი.

საჯარო ბიბლიოთეკა თბილისი

Доз. цен. Тифисъ, 5-го Августа 1895 г. (§) Тип. М. Д. Ротиніанца (სტამბა, მ. დ. როტინიანცისა) Гол. пр., д. 41